ხელშეკრულება №06/095
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

2019 წლის 11 ივნისი ქ. თბილისი

ერთის მხრივ, სსიპ–ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი **ეკატერინე გაფრინდაშვილის (ბრძანება №1596-02)** სახით (შემდგომში წოდებული „შემსყიდველად")
მის: ქ. თბილისი, ქ. ჩოლოყაშვილის გამზ. №3/5;
საიდენტიფიკაციო კოდი: 204861970;
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22 (სახელმწიფო სუბსიდია);

მეორეს მხრივ **სს საქფეთქმრეწვი** წარმოდგენილი გენერალური დირექტორის **ლერი საყვარელიძის** სახით (შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად").
მისამართი: საქართველო, თბილისი, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი, მაიაკოვსკის ქ., N7
საიდენტიფიკაციო ნომერი: 201946886
საბანკო რეკვიზიტები: სს.ვითიბი ბანკი ჯორჯია: ბანკის კოდი: UGEBGE22,
ა/ა:GE34VT6500000000403604

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის განსაზღვრული ასიგნებების ბიუჯეტის ფარგლებში ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი
1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტისა და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრის ტერიტორიაზე არსებული საჰაერო მილის (30 (ოცდაათი) მეტრი) გაწმენდის მომსახურების შესყიდვა. (**CPV: 90900000** -დასუფთავება და სანიტარული მომსახურება)

2.მხარეთა უფლებები და მოვალეობები
2.1. მიმწოდებელი ვალდებულია:
2.1.1.მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს გაუწიოს ამ ხელშეკრულების პირველ მუხლში მითითებული მომსახურება.
2.1.2.მიმწოდებლის ვალდებულება მომსახურების გაწევაზე ითვლება შესრულებულად შემსყიდველისათვის მომსახურების გაწევის მომენტიდან.
2.1.3.თუკი ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებულ მომსახურება არ იქნება სრულყოფილი მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის მიღების შემდეგ გონივრულ ვადაში გამოასწოროს ეს ნაკლი.
2.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია:
2.2.1. მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
2.3. შემსყიდველი ვალდებულია:
2.3.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
2.3.2. უზრუნველყოს მომსახურების მიღება.
2.4. შემსყიდველი უფლებამოსილია:
2.4.1. მოსთხოვოს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება.

3.ხელშეკრულების ღირებულება
3.1. ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულებაა **4950 (ოთხი ათას ცხრაას ორმოცდაათი)** ლარი.
3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **4950 (ოთხი ათას ცხრაას ორმოცდაათი)** ლარს.
3.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის მიერ გასაწევ ყველა ხარჯს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

4.ანგარიშსწორების წესი

4.1 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით 2019 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ასიგნებების ფარგლებში, მიმწოდებლის მხრიდან წარმოდგენილი 100 %-იანი საბანკო გარანტიის საფუძველზე, საბანკო გარანტიის წარმოდგენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში წინასწარი გადახდის მექანიზმის (ავანსი 100%) გამოყენებით.

4.2. ამ მუხლის 4.1 პუნქტით გათვალისწინებული საავანსო გადახდის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა სულ მცირე 30 დღით უნდა აღემატებოდეს მომსახურების გაწევის ვადას.

4.3. ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი, გადახდის ფორმა – უნაღდო.

4.4 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის მიერ გასაწევ ყველა ხარჯს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

5.მომსახურების გაწევის ადგილი, ვადები და მიღება-ჩაბარების წესი

5.1. ხელშეკრულებით გათვალსიწინებული ვალდებულების შესრულების ადგილია თბილისი, ნუცუბიძის №77.

5.2. მომსახურების გაწევა მოხდება ავანსის ჩარიცხვის მომდევნო სამუშაო დღედან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს 2019 წლის 25 აგვისტოს ჩათვლით.

5.4. მომსახურების გაწევასთან ერთად მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ყველა შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (სასაქონლოზედნადები, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა (არსებობის შემთხვევაში)).

5.5. მომსახურების გაწევა ჩაითვლება შესრულებულად მას შემდეგ, რაც მხარეებს შორის გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი. მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება შემსყიდველის მხრიდან მიენიჭოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტისა და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრის სამეურნეო-ფინანსური განყოფილების უფროსს **ქეთევან ქორიძეს.**

6.ხელშეკრულების მოქმედების ვადები

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მხრიდან ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

7.ხელშეკრულების ინსპექტირება

7.1.შემსყიდველი ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.

7.2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება შემსყიდველის მხრიდან ევალება სსიპ–ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტისა და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრის შემსყიდველს **ინგა გაბრიაძეს.**

8. ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს გაწეული ხარჯების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის მნიშვნელოვანი დარღვევის (გამოუსწორებელი ნაკლის,ისეთი ნაკლის, რომლის გამოსწორება შეუძლებელია განსაზღვრული მატერიალური და დროის დანახარჯების გარეშე, ან რომელიც კვლავ აღმოჩნდება ნაკლის გამოსწორების შემდეგ) შემთხვევაში.

8.2შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლისათვის ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ თუ:

ა)ხელშეკრულებით გათვალისიწნებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადაში მიმწოდებელს არ შეუძლია საქონლის სრულად ან ნაწილობრივ მიწოდება;

ბ)მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისიწნებული რომელიმე ვალდებულება;

გ)შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას

დ) მიმწოდებლის მიმართ დაიწყო გაკოტრების საქმის წარმოება;

ე)საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1.მხარეების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2.თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას, მეორე მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნეს დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3.ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4.მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებიდან გასვლისას შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

9.5.რომელიმე მხარის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში მეორე მხარე იტოვებს უფლებას მოითხოვოს დამრღვევი მხარისგან, ხოლო ამ შემთხვევაში დამრღვევი მხარე ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0,1%-ისოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

10. ფორს-მაჟორი

10.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.

10.2ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელწიფო გადატრიალება და სხვ.).

10.3ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს ჩაითვლება თანხმობად. იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.

11.ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის წესი

11.1.ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასების გადასინჯვა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ.

11.2ამხელშეკრულების 11.1. პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში შეძლება მოთხოვნილ იქნეს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი.

11.3გარემოებათა შეცვლას უთანაბრდება, როცა წარმოდგენები, რომლებიც ხელშეკრულების საფუძველი გახდა, არასწორი აღმოჩნდა.

11.4.წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა არ დაიშვება, თუ ეს გამოიწვევს ხელშეკრულების ფასის გაზრდას ან შემსყიდველისათვის ხელშეკრულების პირობების გაუარესებას, გარდა ამ ხელშეკრულების 11.1, 11.2. და 11.3. პუნქტებით განსაზღვრული შემთხვევებისა.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

12.1ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

12.2თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია ამის შესახებ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს.

12.3ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება და დამატება უნდა გაფორმდეს ახალი ხელშეკრულების სახით მხარეების ან მათ მიერ უფლებამოსილი პირების მიერ, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13.ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებას, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევიმი ზეზების შესახებ.

13.2.იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

14.დავების გადაჭრის წესი

ამ ხელშეკრულების შესრულების დროს წამოჭრილი ყველა დავა შეძლებისდაგვარად გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო.

15.დასკვნითი დებულებები

15.1.მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს

15.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი – მიმწოდებელს).

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	სს საქფეთქმრეწვი
ეკატერინე გაფრინდაშვილი	**ლერი საყვარელიძე**
ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მ/შ	გენერალური დირექტორი

Ilia State University

Digitally signed by Ilia State University
Date: 2019.07.19 10:09:21 +04'00'